შპს  საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის  აკადემია

# 2020 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

ზუგდიდი
2020

| შესრულებული აქტივობები | შესრულების დრო | შემსრულებლები | განმარტება და მტკიცებულებები |
|---|---|---|---|
| 1. მოისმინეს 2020 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრუების წლიური ანგარიში | იანვარი | დირექტორი, ადმიისტრაცია | **შესრულდა**<br>2020 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში |
| 2. მარეგულირებელი დოკუმენტების სრულყოფა მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში | მთელი წლის განმავლობაში | დირექტორი, საქმის წარმოების მენეჯერი | **შესრულდა**<br>ავტორიზაციის ახალი სტანდარტიდან გამომდინარე მარეგულირებელ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილება, რაც მატერიალურად დასტურდება მარეგულირებელი დოკუმენტებით. |
| 3. ახალი მიმართულებების მოდულური და მოკლევადიანი პროგრამების ადაპტირება და დამტკიცება | 2020 წლის თებერვალი | დირექტორი, დირექტორის მოადგილე | **ვერ შესრულდა**<br>სტრატეგიული და სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, დაგეგმილი იყო ახალი მოდულური პროგრამების ადაპტირება. ქვეყანაში არსებული კოვიდპანდემიიდან გამომდიარე, ვერ მოხერხდა პროგრამების ადაპტირება და დამატება.<br><br>**შესრულდა**<br>თუმცა კოლეჯმა ავტორიზაციის გზით დაამატა პრიორიეტული ახალი მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები. კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, პროგრამის დამატება დაგეგმილი თარიღების ნაცვლად განხორციელდა 2020 წლის დეკემბერში. |
| | 2020 წლის თებერვალი-მარტი | ბუღალტერი, სამეურნეო სამსახურის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | |
| | 2020 წლის თებერვალი-მარტი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი | |
| | 2020 წლის თებერვალი-მარტი | დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | |
| | 2020 წლს მაისი | დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | |
| 4. ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება | ივნისი-ოქტომბერი | დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | **შესრულდა**<br>ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კოლეჯმა წარადგინა თვითშეფასების ანგარიში |
| 5. სასწავლო აუდიტორიების აღჭურვა სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით | 2020 წლის თებერვალი-მარტი | დირექტორი, ბუღალტერი, სამეურნეო სამსახურის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | **ვერ შესრულდა**<br>მძიმე კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, კოლეჯმა ვერ მოახერხა ახალი მატერიალური ბაზის განახლება, თუმცა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსები პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რაც კოლეჯის საგამანათლო პროგრამის შესაბამისად იყო |
| | 2020 წლის თებერვალი-მარტი | ბიბლიოთეკის მენეჯერი, ბუღალტერი, | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | სამეურნეო სამსახურის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | გათვალისწინებული. |
| 6. კოლეჯში სარემონტო სამუშაოების წარმოება (სველი წერტილების განახლება, აუდიტორიების განახლება) | 2020 წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ | სამეურნეო სამსახურის მენეჯერი | სარემონტო სამუშაოების საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯში განხორციელდა მცირე სარემოტო სამუშაოები. |
| 7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სასწავლო და ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება; | 2020 წლის თებერვალი-მარტი | სამეურნეო სამსახურის მენეჯერი | საჭიროება არ დამდგარა (ვინაიდან ამ ეტაპისთვის კოლეჯში არ ირიცხება სსსმ და შშმ საჭიროების მქონე პირები) |
| 8. აბიტურიენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება პროფესიების შესახებ (სკოლებში ვიზიტი, მოსწავლეების ვიზიტი კოლეჯში, ვიდეო რგოლების მომზადება) | 2020 წელი ივლისი | დაწესებულების დირექტორი, ადმინისტრაცია | **შესრულდა** პანდემიის კრიზისის მიუხედავად, კოლეჯის ადმინისტრაციამ მოახერხა ვიზიტი რამდენიმე სკოლაში. კოლეჯის ცნობადობის გაზრდის მიზნით შეხვდა სკოლის დირექტორებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. (ფოტომასალა, სოცქსელები) |
| **9.** კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სასწავლო ტრენინგების ჩატარება. | 2020 წლის განმავლობაში | გარე მხარდამჭერის ექსპერტი, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | **შესრულდა** სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა დაგეგმა და ჩაატარა შიდა შეხვედრები პროფესიულ მასწავლებლებთან. ამასთან ერთად პროგრამის ხელმძღვანელები და მასწავლებლები ჩართული იყვნენ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და კერძო კოლეჯების მიერ დაგეგმილ ონლაინ-ტრენინგებში, რომლებიც ეხებოდა პროფესიული მასწავლებლების გადამზადებას, შედეგების დადსტურებას, ვალიდაციას, დისტანციური სწავლების მიდგომებს და დისტანციური სწავლების შედეგების დადასტურებას. კოლეჯის პედაგოგები, ასევე, აქტიურად იყვენ ჩართული შეფასების ინსტრუმენტების შექმნაში და ინსტრუმენტების ვალიდაციაში, რამაც ხელი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | შეუწყო მასწავლებლებს კარიერულ ზრდაში. მასწავლებლები მიღებულ ინფორმაციას უზიარებდნენ სხვა პედაგოგებსაც. შეხვედრები ტარდებოდა დისტანციურად, რამაც შესაძლებელი გახადა ჩვენი პედაგოგების მაქსიმალური ჩართულობა და მათ მიერ ამომწურავი ინფორმაციის მიღება. **დასწრების ფურცლები, ფოტო-მასალა.** |
| 10. გასაუბრების გამოცხადება (ინფორმაციის გავრცელება ვაკანტური ადგილების შესახებ), კანდიდატების შერჩევა | საჭიროებისამებრ | დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | კოლეჯში საჭიროებისამებრ ცხადდება ვაკანსია შესაბამის პოზიციაზე . **პირადი საქმე** |
| 11. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით პერსონალის და მასწავლებლების გამოკითხვების წარმოება | წელიწადში ორჯერ: პირველი - ივნისის ბოლოს, მეორე - დეკემბრის პირველ კვირას. | ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი | კოლეჯში ჩატარდა ადმინისტრაციის და მასწავლებლების გამოკითხვა, კითხვარის საშუალებით. **პერსონალის და მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარები** |
| 12. კერძო სექტორთან თანამშრომლობა პროგრამის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და პრაქტიკის განხორციელების მიზნით | მთელი წლის განმავლობაში | დირექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე | კერძო სექტორთან მუდმივად მიმდინარეობს თანამშრომლობა. კოლეჯის ადმიისტრაცია ხშირად უკავშირდება დამსაქმებლებს, იკვლევს დამსაქმებლის მოთხოვნას ვაკანტურ ადგილებზე სტუდეტების დასაქმებისთვის, აფორმებს ხელშეკრულებებს პრაქტიკის მომსახურეობის დასაქმების პერსპექტივით. **შევსებული კითხვარები, ჩატარებული კვლევა, გაფორმებული ხელშეკრულებები** |
| 13. კოლეჯის ცნობადობის ზრდა, მართვისა და სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესება საინფორმაციო და საკომუნიკაციო გზების გამოყენებით | მთელი წლის განმავლობაში | დირექტორი; ადმინისტრაცია | კოლეჯის ცნობადობის ზრდისთვის, მართვისა და სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს ვებგვერდზე განახლებული ინფორმაციის განთავსება: **ვებგვერდი - www.akademiazug.ge დაბეჭდილი ბუკლეტები ფოტო და ვიდეომასალა, სოცქსელები** |
| 14. სტუდენტების ყოველწლიური გამოკითხვა | მთელი წლის განმავლობაში | დირექტორი; ხარისხის | კოლეჯში მუდმივად მიმდინარეობს სტუდენტების |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით | | უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი | გამოკითხვა კითხვარის საშუალებით ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, რაც შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს პრობლემური მხარეები და დროულად მოხდეს რეაგირება. **შევსებული კითხვარი** |
| 15. სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზება/ორგანიზებაში ხელშეწყობა | მთელი წლის განმავლობაში | დირექტორი ხარისხის, უზრუნველყოფის მენეჯერი | მუდმივად მიმდინარეობს საპროფორიენტაციო კონსულტაციები. ეს ეხება, როგორც პროფესიის შერჩევის საკითხს, ასევე კურსდამთავრებულებს, რომლებიც საჭიროებენ დაკვალიანებას დასაქმების საკითხთან დაკავშირებით. რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე, მათ ეძლევათ ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომელიც არგუმენტირებულია და მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. ასევე, რაიმე ვაკანსიის შემთხვევაში მათ ეცნობებათ ინფორმაცია დასაქმების შესახებ. საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს ღოისძიებების ორგაიზება-დაგეგმვაში. გასვლითი ექსკურსიების მოწყობაში. **ფოტო და ვიდეომასალა ატვირთული კოლეჯის ვებგვერდზე და სოცქსელებში** |
| 16. 2021 წლის მომდევნო სამოქმედო გეგმის განხილვა-დამტკიცება | 2021 წლის იანვარი | კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეურნეო სამსახურის მენეჯერი, ბუღალტერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი. | კოლეჯის 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვაში მონაწილეობდა კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეურნეო სამსახურის მენეჯერი, ბუღალტერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი. განხილულ იქნა კოლეჯის განვითარების პერსპექტივები; ახალი მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და ადაპტირება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძველი რესურსების ახლით ჩანაცვლება, სარემონტო სამუშაოების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ჩატარება და ცეტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება, რაც შეფერხდა პანდემიით შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, ახალი სათადარიგო საევაკუაციო კიბის დამონტაჟება (ახალი სტანდარტების შესაბამისად), უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება. მასწავლებლების კარიერული წინსვლის გაუმჯობესება, სტუდენტური სერვისების დახვეწა და განვითარება, სტუდეტების დასაქმების ხელშეწყობა. **კოლეჯის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის ოქმი N06/01** |